19/05/2019

# ილია მეორე – ზოგიერთმა მიიჩნია, რომ 17 მაისს ოჯახების დალოცვა ვიღაცების წინააღმდეგ იყო, წინააღმდეგობა არ გვაქვს, გვაქვს დარდი საქართველოზე

**ზოგიერთმა მიიჩნია, რომ 17 მაისს ოჯახების დალოცვა ვიღაცების წინააღმდეგ იყო, წინააღმდეგობა არ გვაქვს, გვაქვს დარდი საქართველოზე, – აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დღევანდელი ქადაგებისას.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება:

„ქრისტე აღდგა!

ქრისტე აღდგა!

ქრისტე აღდგა!

17 მაისს, თქვენ იცით, ჩვენ დავლოცეთ ოჯახები. ზოგიერთმა ადამიანმა მიიჩნია, თითქოს ვიღაცების წინააღმდეგ იყო ეს მოქმედება. არავითარი წინააღმდეგობა არა გვაქვს ჩვენ. ჩვენ გვაქვს დარდი საქართველოზე. ჩვენ უნდა ვიფიქროთ საქართველოს ოჯახებზე, საქართველოს მომავალზე.

მე მახსოვს ერთი ოჯახი, მღვდლის ოჯახი, რეპრესიების დროს ამ მღვდელს მიუსაჯეს ციხე ციმბირში გაგზავნით და მისმა მეუღლემ გამოიჩინა ისეთი დიდი სულგრძელება და ისეთი დიდი სიყვარული, რომ ამ გადასახლებულ მეუღლეს გაჰყვა იმ მატარებლით, რომლითაც მიჰყავდათ იგი. როცა ჩერდებოდა მატარებელი, ეს მეუღლე გადმოდიოდა მატარებლიდან და მუშაობდა ხალხში, რამდენიმე მანეთს იშოვიდა და მიჰქონდა საჭმელი თავისი მეუღლისათვის. შემდეგ ეს მოძღვარი მეუღლესთან ერთად დაბრუნდა გადასახლებიდან; მათ ეყოლათ შვილი და იგი გახდა დიაკონი, მამა კი კვლავ მღვდლობდა. ეს იყო ბედნიერი ოჯახი. ჩვენ ყველანი ოჯახიდან გამოსული ადამიანები ვართ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ოჯახი მტკიცე იყოს საქართველოში.

ოჯახის სიმტკიცე არის ერის სიმტკიცე და ქვეყნის სიმტკიცე, ამიტომ მე იმ დღეს გითხარით თქვენ, რომ დაალოცვინეთ თავი, თქვენი თავი, მშობლებს.

მე მახსენდება ჩემი სტუდენტობა. სტიპენდიას ვაგროვებდი და რომ მოვდიოდი არდადეგების დროს, მომქონდა საჩუქრები დედისათვის და მამისათვის. იმ პატარა საჩუქრებით ვახარებდი ჩემს მშობლებს და ჩემი მშობლები მლოცავდნენ. მე მაქვს პატარა პანაღია, ეს პანაღია ჩემი მშობლების საჩუქარია, ჩემი მშობლების დალოცვაა ჩემზე და მას ხშირად ვატარებ.

კიდევ ერთხელ გახსენებთ, განსაკუთრებით იმათ, ვისაც გყავთ მშობლები: გამოიყენეთ ეს ბედნიერი დრო და დაალოცვინეთ თქვენი თავი მათ. ეს მოგცემთ დიდ სიხარულს, დიდ ბედნიერებას.

,,პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყნასა ზედა.” გისურვებთ ბედნიერებას, კეთილდღეობას.

არის ხშირი შემთხვევა, როცა დედ-მამას ჰყავს 1 შვილი და ისაც კი ცდილობს ცალკე იყოს. იგი უნდა იყოს მშობლებთან და უნდა ეცადოს, მშობლებმა ყოველდღე დალოცონ თავისი შვილი.

დიდება უფალს და მადლობა უფალს; ჩვენ დავაწესეთ ეს დღესასწაული ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

დალოცვილი იყავით. ჩვენთან არ ღმერთი!

ვლოცავთ გვარებს: მაკარაძეებს, დაძულიძეებს, დარძულებს, ჩუბინიძეებს, არდოტელებს, ასლამაზიშვილებს და ასლამაზაშვილებს.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგამრავლოთ. ღმერთმა მოგცეთ მტკიცე ოჯახები, ბევრი შვილები სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა. ამინ.

ეხლა ხუთშაბათს ჩოხოსანთა დასის ორგანიზებით საყოველთაო ჯვრისწერის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ჯვარი დაიწერა 500 წყვილმა.

ღმერთმა დალოცოს მათი ოჯახები.

დღეს დასალოცად მობრძანებულები არიან იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც უფასო იურიდიულ კონსულტაციას უწევენ საქართველოში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს ბ-ნი რაჟდენ კუპრაშვილის ხელმძღვანელობით.

დალოცვილი იყავით ბ-ნო რაჟდენ, შეგეწიოთ ღვთის მადლი და წყალობა.

მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა.

ჩვენთან არს ღმერთი!

P.S. მომავალი შაბათიდან საღამოს მსახურება 17:00-ის ნაცვლად 18:00 საათზე დაიწყება.“, – აღნიშნა პატრიარქმა.